საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-264

22/03/2019

ქ. თბილისი

ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფელ კვალითში, შპს „მარჯანი 5-ის“ სილიკომანგანუმის (თუჯის, ფოლადის ან/და ფეროშენადნობების წარმოება, პირველადი ან/და მეორეული დნობის ჩათვლით) ჩამოსხმის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფელ კვალითში, შპს „მარჯანი 5-ის“ სილიკომანგანუმის (თუჯის, ფოლადის ან/და ფეროშენადნობების წარმოება, პირველადი ან/და მეორეული დნობის ჩათვლით) ჩამოსხმის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს, „შპს „მარჯანი 5-ის“ სილიკომანგანუმის (თუჯის, ფოლადის ან/და ფეროშენადნობების წარმოება, პირველადი ან/და მეორეული დნობის ჩათვლით) ჩამოსხმის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე ექსპერტიზის ჩატარების მიზნით საექსპერტო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 14 თებერვლის N 2-146 ბრძანება;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „მარჯანი 5-ს”;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „მარჯანი 5-ის” მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი